

# ცირკიდან გაქცეულმა ენოტებმა სურსათის მაღაზია გაძარცვეს



უკრაინის ქ. სტოროჟინეცში საცირკო ენოტები გასტროლებიდან გაიქცნენ და ერთერთ სურსათის მაღაზიაში შეიპარნენ. დღით მისუდ მეპატრონეს მაღაზია დარბეული დახვდა, ხოლო ენოტები – შეზახორშებულები. ქაღბატონმა მათი გაყრა

სცადა, ერთერთმა შემთვრადმა ენოტმა მას ფეხი გაუკანრა.

როგორც გაირკვა, მაღაზიაში ოთხფეხა „მძარცველებმა“ დააგემოვნეს ყველის და ძეხვის რამოდენიმე სახეობა, ტკბილეული მიირთვეს და ადვოკატი სასმელებიც მიაყოდეს. ენოტებმა თაროდან არყის, ღუდის და კონიაკის ბოთლები ჩამოყარეს და დაღვრილი სასმელით გვარიანად შეზახორშდნენ.

ცხოვედები ცირკში დააბრუნეს, თუმცა სამი დღის განმავლობაში მათ ისეთი ძლიერი ნაბახუსევი ჰქონდათ, რომ მათ მაგივრად არენაზე დუბლიორი ენოტები გამოდიოდნენ. „ ენოტები 17 კილოგრამს იწონიან და მაინც ზედმეტი სასმელი მოუვიდათ, მთელი ღამე არ დაგვაძინეს, ვერ ვაშოშმინებდით“, – აღნიშნა ცირკის ადმინისტრატორმა.

რაც შეეხება დარბეულ მაღაზიას, მიყენებულმა ზარადმა 46 ათასი გრივნა შეადგინა.